სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიმნის დამტკიცების მიზნებისათვის ჰიმნის ტექსტის (ლექსის) კონკურსის საფუძველზე შერჩევის პროცედურა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ჰიმნის **დამტკიცების მიზნებისათვის ჰიმნის ტექსტის (ლექსის)** კონკურსის საფუძველზე შერჩევის პროცედურა (შემდგომში - ,,პროცედურა“) განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების პირობებსა და გამარჯვებულის გამოვლენის წესს.
2. კონკურსის მიზანია უნივერსიტეტის ჰიმნის **დამტკიცების მიზნებისათვის ჰიმნის ტექსტის (ლექსის)** შერჩევა.
3. კონკურსის ორგანიზატორი და განმახორციელებელია უნივერსიტეტი.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს.
2. საკონკურსოდ, წინამდებარე პროცედურით დადგენილი წესით, პირს, ან პირთა ჯგუფს უფლება აქვს, წარმოადგინოს ერთი ან ერთზე მეტი ნაწარმოები. ტექსტი (ლექსი) უნდა იყოს საუნივერსიტეტო თემატიკაზე და არ უნდა აღემატებოდეს სამ კუპლეტს, უნდა იყოს სტილისტურად გამართული, არ უნდა შეიცავდეს გრამატიკულ შეცდომებს, ითვალისწინებდეს ქართული ლექსიკის ნორმებს, რითმებს. არ უნდა შეიცავდეს მოწოდებას დისკრიმინაციისა და ძალადობისკენ, ასევე, სარეკლამო ნიშნებს. სასურველია ტექსტი შეიცავდეს სიტყვებს ,,თავისუფლება“, ,,დედა უნივერსიტეტი“, ,,ცოდნა“.
3. კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოები უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული იქნება უნივერსიტეტის ჰიმნის, როგორც მუსიკალური ნაწარმოების შექმნის მიზნებისა და პროცედურებისათვის.

მუხლი 3. კონკურსის ვადები

1. კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის მიერ.
2. საკონკურსო განაცხადები მიიღება 2023 წლის 30 სექტემბრის 18:00 სთ-ის ჩათვლით (2023 წლის 30 სექტემბერს განაცხადები მიიღება მხოლოდ ელექტრონულად, წინამდებარე პროცედურით დადგენილი წესით).

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტები და მათი წარმოდგენის წესი

1. საკონკურსო განაცხადები მიიღება უნივერსიტეტის კანცელარიაში როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად. კონკურსში მონაწილეობისთვის განმცხადებელმა/განმცხადებლებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე, კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი/ასლები;

გ) საბანკო რეკვიზიტები;

დ) ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მასალა.
2. წარმოდგენილი ნაწარმოები არ უნდა იყოს გამოცემული და/ან საჯაროდ შესრულებული კონკურსში მონაწილეობის მიღებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, განცხადება არ იქნება განხილული, ან მოიხსნება კონკურსიდან ფაქტის გამოვლენისთანავე.
3. კონკურსანტმა უნდა წარადგინოს საკონკურსო ნაწარმოები - ტექსტი (ლექსი) ელექტრონულ მატარებელზე (CD ან DVD დისკი). აღნიშნულის გარდა, ნაწარმოები წარმოდგენილი უნდა იქნას ამობეჭდილი სახით, ერთ ეგზემპლარად. ავტორის/ავტორების სახელი და გვარი მითითებული უნდა იყოს მხოლოდ ამობეჭდილ ვერსიაზე.
4. კონკურსის დასრულების შემდეგ, მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი საკონკურსო მასალა შესაძლებელია დაუბრუნდეს კონკურსანტს.
5. კონკურსანტი, კონკურსის ფარგლებში განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე, უფლებამოსილია, შეცვალოს წარმოდგენილი განაცხადი ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია.
6. დოკუმენტები და საკონკურსო მასალა უნდა იყოს წარმოდგენილი მატერიალური სახით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, ოთახი 114, ხოლო ელექტრონულად ელ. ფოსტაზე: chancellery@tsu.ge.
7. საკონკურსო განაცხადებს (მასზე ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დართული მასალებითურთ), დროში მათი წარმოდგენის რიგითობის მიხედვით, თითოეულს საკანცელარიო წესით რეგისტრაციის შემდგომ, ენიჭება ასევე რიგითი ნომერი. საკონკურსოდ წარმოდგენილ თუ რომელ ნაწარმოებს, რომელი საკანცელარიო ან/და რიგითი ნომერი მიენიჭა, ცნობილი არ უნდა გახდეს ავტორებისა და კომისიის წევრებისათვის კონკურსის დასრულებამდე.

მუხლი 5. საკონკურსო კომისია

1. საკონკურსო ნაწარმოებს აფასებს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისია.
2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისი შემადგენლობიდან კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით.
3. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 6. კონკურსის ეტაპები და გამარჯვებულის გამოვლენა

1. კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისია იხილავს საკონკურსოდ წარმოდგენილ ნაწარმოებებს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე პროცედურის დაცვით. საკონკურსო კომისიას კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაწარმოებები გადაეცემა მათ წარმომდგენ პირთა (ავტორთა) მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე, მხოლოდ საკონკურსოდ წარმოდგენილ ნაწარმოებზე არსებული ნუმერაციით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განხილვის დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას საკონკურსოდ წარმოდგენილი არაუმეტეს 3 ნაწარმოების შერჩევის თაობაზე.

3. საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მოაწყოს განხილვა მის მიერ შერჩეული არაუმეტეს 3 ნაწარმოების ავტორებთან წარმოდგენილი ნაწარმოებების თაობაზე შენიშვნების, ინიციატივების, რეკომენდაციების ან სხვა სახის წინადადებების გაცემის მიზნით. საკონკურსო ნაწარმოებების ავტორი/ავტორები უფლებამოსილი არიან როგორც მიიღონ და გაითვალისწინონ საკონკურსო კომისიის შესაბამისი წინადადებები და შეთავაზებები, ისე უარი თქვან მათ გათვალისწინებაზე. იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო ნაწარმოებების ავტორი/ავტორები მიიღებენ და გათვალისწინებენ საკონკურსო კომისიის შესაბამისი წინადადებებს, მათ უფლება ეძლევათ საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში წარმოადგინონ განახლებული, შეცვლილი, დაკორექტირებული საკონკურსო ნაწარმოები, ოფიციალურად, მატერიალური ან ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის კანცელარიაში რეგისტრაციის გზით.

4. კომისიის მიერ წინამდებარე პროცედურით გათვალისწინებული წესით შერჩეული საკონკურსო ნაწარმოების/ნაწარმოებების თაობაზე შესაძლებელია მოეწყოს საერთო საუნივერისტეტო განხილვა, საუნივერისტეტო საზოგადოების შეხედულების გარკვევის მიზნით. საერთო საუნივერსიტეტო განხილვის ფორმატს და ვადებს ადგენს საკონკურსო კომისია. საერთო საუნივერსიტეტო განხილვის უზრუნველყოფას ახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. საერთო საუნივერსიტეტო განხილვის შედეგებს საკონკურსო კომისიისათვის აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გამარჯვებულად გამოავლინოს არაუმეტეს 3 საკონკურსო ნაწარმოები. შესაბამისად, კომისიის თითოეული წევრი, გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილია ხმა მისცეს არაუმეტეს 3 საკონკურსო ნაწარმოებს. კონკურსში გამარჯვებულად ცხადდება ნაწარმოები (ნაწარმოებები), რომელიც მიიღებს საკონკურსო კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარზე მეტ ხმას. კონკურსში ერთზე მეტი გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში საკონკურსო პრემიის ოდენობა სრულად გადაეცემა თითოეული საკონკურსო ნაწარმოების ავტორს/ავტორებს. იმ შემთხვევაში თუ ჩატარდა საერთო საუნივერსიტეტო განხილვა, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მხოლოდ მისი დასრულების შემდგომ, წინამდებარე პროცედურით დადგენილი წესით, მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის თაობაზე.

მუხლი 7. საკონკურსო პრემია

1. საკონკურსო პრემია განისაზღვრება 1500 (ათას ხუთასი) ლარით და გადაეცემა კონკურსში გამარჯვებულს.

2. კონკურსში გამარჯვებული ტექსტი (ლექსი) უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული იქნება მის საფუძველზე მუსიკის შექმნის (უნივერსიტეტის ჰიმნის) მიზნით კონკურსის გამოსაცხადებლად.

3. იმ ტექსტის (ლექსის) ავტორს, რომლის ტექსტის (ლექსის) გამოყენებითაც შეიქმნება გამარჯვებული მუსიკალური ნაწარმოები, დამატებით გადაეცემა 1500 (ათას ხუთასი) ლარი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. ის პროცედურული საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით და განეკუთვნება კომისიის საქმიანობის და უფლებამოსილების სფეროს, დგინდება კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით.
2. წინამდებარე პროცედურით გათვალისწინებული პროცესის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, შესაბამისი უფლებამოსილი პირების - კომისიისა და საარჩევნო კომისიის მოთხოვნების საფუძველზე, ახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.